საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *სალომე გველესიანის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	7	10
პროფესიული აქტივობა	1	5
ქულათა ჯამი	84	100

სახელი, გვარი: თამარ ონიანი

თარიღი : 27.05.2021

სალომე გველესიანი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	<u>**კეთილსინდისიერების კრიტერიუმით**</u> საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის დადგენილი მახასიათებლები: **1. <u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი, როგორც მოქალაქის პატიოსნება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისი შეგნება. კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, მას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში, ჯეროვნად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. 2017 წლის 11 ნოემბრიდან 2021 წლის 11 ნოემბრამდე პერიოდში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისიწინებული საგზაო მოძრაობის წესების
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		დარღვევისთვის სალომე გველესიანს დაკისრებული ჯარიმა გადახდილი აქვს დროულად. რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები სალომე გველესიანს ახასიათებენ დადებითად. მიუთითებენ მის კეთლსინდისიერებაზე, შრომისმოყვარეობაზე, გამოარჩევენ კანდიდატის გუნდურობას, კორექტულობას, პრინციპულობას. რესპონდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი იყო თავშეკავებული და კორექტული. **2. <u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე. რეკომენდატორები და კოლეგები კანდიდატს აფასებენ, როგორც დამოუკიდებელს, პრინციპულს, მიუკერძოებელს. კანდიდატი არასოდეს ყოფილა პოლიტიკური ჯგუფის მხარდამჭერი/წევრი/შემომწირველი. მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. **3. <u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, საკუთარი

		ემოციების მართვის უნარი, თავდაჭერილობა, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, სალომე გველესიანის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. დაზარალებულად, სამართლებრივ დავაში მხარედ წარმოდგენილი არ ყოფილა. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ იგი არის პატიოსანი და პრინციპული. **4. <u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები კანდიდატს ახასიათებენ დადებითად. სალომე გველესიანის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ინფორმაცია არ მოიპოვება. **5. <u>ფინანსური ვალდებულება</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ, რათა შეფასდეს, არსებობს

			თუ არა საფუძველი კანდიდატის ქონებრივი ინტერესის მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას. მოძიებული ინფორმაციის გათვალისწინებით, სალომე გველესიანი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. იმავე ინფორმაციის მიხედვით, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის. შესაბამისად, ვფიქრობ, არ არსებობს კანდიდატის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების ისეთი გარემოება, რამაც შეიძლება, საფრთხე შეუქმნას მის მიუკერძოებლობას.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**22**	**25**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენისა და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი კარგად იცნობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, რაც შეეხება სისხლს სამართალს, კანდიდატს აქვს ზოგადი ცოდნა აღნიშნული მიმართულებით.

			გასაუბრების მიმდინარეობისას სალომე გველესიანმა გამოავლინა ეროვნული კანონმდებლობის თუ საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის ცოდნის შესაბამისი დონე. დასაბუთების დროს იყენებს როგორც ნაციონალურ, ისე ადმიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. გასაუბრებისას კანდიდატი თავისუფლად მსჯელობდა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე, მოჰყავდა კონკრეტული მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან. ჩანს, რომ სალომე გველესიანი აქტიურად ეცნობა როგორც ქვეყნის შიდა სასამართლო პრაქტიკას, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, აგრეთვე, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**23**	**25**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის გათვალისწინებით, კანდიდატი მკაფიოდ და თანმიმდევრულად ავითარებს სამართლებრივ მსჯელობას სხვადასხვა საკითხზე. დასაბუთების დროს იშველიებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს პრეცედენტებსა და სამართლის მეცნიერების მოსაზრებებს. საჯარო მოსმენის პროცესზე დაკვირვებით ირკვევა, რომ კანდიდატს შეუძლია, ნათლად გამოკვეთოს შესაბამისი სამართლებრივი პრობლემა და არგუმენტირებული მსჯელობა განავითაროს ამ მიმართულებით. მიმაჩნია, რომ მას აქვს ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი.

წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაბოა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა. წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტიდან ჩანს, რომ სალომე გველესიანს შეუძლია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემა. მისი მსჯელობა არის ლოგიკური და თანმიმდევრული. მისი საუბარი არის გამართული და მარტივი აღსაქმელი მსმენელისათვის. კანდიდატი მზად არის დისკუსიისთვის.
პროფესიული თვისებები	13	15	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი პუნქტუალობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარ-ჩვევები. რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მიიჩნევენ, რომ კანდიდატი არის შრომისმოყვარე, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე. კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია, რაც მისი მხრიდან სამოსამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად შესრულებასა და მხარეთა მხრიდან მის მიმართ დამოკიდებულების დადებითად შეფასების საფუძველს იძლევა.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	7	10	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში ფამოყენება. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, სალომე გველესინი პერიოდულად მონაწილეობს ტრენინგებსა და სემინარებში სხვადასხვა მიმართულებით, რაც მიუთითებს, რომ მზადაა, მიიღოს ახალი და მისთვის საჭირო და აუცილებელი ცოდნა და ინფორმაცია.
პროფესიული აქტივობა	1	5	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე. კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და არ აქვს გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატია.
ქულათა ჯამი	**84**	**100**	

სახელი, გვარი: თამარ ონიანი

ხელმოწერა: [signature]

თარიღი: 27.05.2021